



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 57

2011 წლის 13 მაისი
ქალაქი ხაშური

სამუსიკო სკოლის მომდერალთა ანსამბლის კლასიკური მუსიკის IV რესპუბლიკურ ფესტივალ-კონკურსში „იპოვე შენი ვარსკვლავი“-ს დასკვნით ტურში მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით სამგზავრო ტრანსპორტის მომსახურების გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ

2011 წლის 11 მაისს (სატენდერო განცხადება SPA 110012201) გამოცხადებული იყო გამარტივებული ელექტრონული ტენდერი სამუსიკო სკოლის მომდერალთა ანსამბლის კლასიკური მუსიკის IV რესპუბლიკურ ფესტივალ-კონკურსში „იპოვე შენი ვარსკვლავი“-ს დასკვნით ტურში მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით სამგზავრო ტრანსპორტის მომსახურების შესყიდვაზე, რომელიც არ შედგა. ღონისძიება დაანიშნულია 15 მაისს და მის ჩატარებამდე რჩება 4 დღე, მათ შორის ერთი უქმე დღე. სამუსიკო სკოლის მომდერალთა ანსამბლის კლასიკური მუსიკის IV რესპუბლიკურ ფესტივალ-კონკურსში „იპოვე შენი ვარსკვლავი“-ს დასკვნით ტურში მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით სამგზავრო ტრანსპორტის მომსახურების შესყიდვა დაუყოვნებლივ განსახორციელებელია.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 პრიმა მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

1. გახორციელდეს სამუსიკო სკოლის მომდერალთა ანსამბლის კლასიკური მუსიკის IV რესპუბლიკურ ფესტივალ-კონკურსში „იპოვე შენი ვარსკვლავი“-ს დასკვნით ტურში მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით სამგზავრო ტრანსპორტის მომსახურების გამარტივებული შესყიდვა.
2. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიება, რაც დაკავშირებულია ამ განკარგულების პირველი პუნქტის შესასრულებლად.
3. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (ქ.ხაშური, ტაბიძის ქ. N2), ხოლო შემდეგ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ.ხაშური, კოსტავას ქ. N15) ერთი თვის განმავლობაში.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე
დავით ლომიძე

